

## სერგი ბულგაკოვი ცხოვრება ექვარისტიიდან

### მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ბ. ებრალიძე\*

ათეული წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ სემინარიის სტუდენტი ვიყავი, ერთ-ერთმა პედაგოგმა დამხმარე ლიტერატურის ჩამოთვლისას ახსენა გასული საუკუნის რუსი პრაქტიკოსი ლიტურგისტის სერგი ბულგაკოვის (1859-1932) ნაშრომი „ღვთისმსახურთა სამაგიდო წიგნი“<sup>1</sup>, და დასძინა, რომ საუბარია „სხვა“ ბულგაკოვზე, და არა იმაზე, რომელიც „ერეტიკოსია“; შეკითხვაზე კი, თუ მამა სერგი ბულგაკოვის რომელ ნაშრომში შენიშნა ყველაზე მკაფიოდ ერესი, კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: „რა თქმა უნდა, მისი არცერთი ნაწერი ნაკითხული არ მაქვს“.

სამწუხაროდ, დღემდე მართლმადიდებელთა ნაწილი არათუ სათანადოდ ვერ აფასებს, ერთგვარი დისკრედიტაციული მიდგომითაც კი გამოირჩევა ცნობილი რუსი სასულიერო მოღვაწის, ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, სერგი ბულგაკოვის (1871-1944) პიროვნებისა და ნააზრევის მიმართ.

მიუხედავად ამისა, ბოლო ათწლეულების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს ბულგაკოვის შესწავლა როგორც მართლმადიდებელ, ასევე არამართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა შორის: მსოფლიოს ყველა კუთხეში არაერთი სტატია, წიგნი თუ დისერტაცია ინერება გენიალური მართლმადიდებელი მღვდლის ნააზრევზე<sup>2</sup>.

---

\* დოქტორანტი (აღმოსავლეთის პონტიფიკური ინსტიტუტი), ლატერანის პონტიფიკური უნივერსიტეტი მინვეული ლექტორი. beqa.ebralidze@gmail.com

<sup>1</sup> საუბარი გვაქვს 1917 წელს კიევში გამოცემულ სქელტანიან ნაშრომზე, სადაც წმინდად სქოლასტიკური მეთოდით არის განხილული რუსული საღვთისმსახურო თავისებურებები და შეიცავს მითითებებს, რომლებიც შეიძლება გამოსდგომოდათ რუს მღვდელმსახურებს ამა თუ იმ გარემოებაში. იხ., Булгаков С.В., Настольная Книга для Священно-Церковнослужителей, Киев, 1913.

<sup>2</sup> ბულგაკოვის ნაშრომებისა და მასთან დაკავშირებული კვლევების ბიბლიოგრაფიის არასრული ჩამონათვალისათვის იხ., Knechten H.M., Bibliographie Sergij Nikolaevič Bulgakov, <<https://www.borisogleb.de/bulg1.htm>> [11.09.20].

წინამდებარე სტატიის მიზანი არის არა იმდენად ბულგაკოვის საღვთისმეტყველო სისტემის რომელიმე ასპექტის შესწავლა და ანალიზი, ან მისი ბიოგრაფიის ისტორიული გადმოცემა, რამდენადაც მისი ზოგიერთი ექვარისტული და მისტიური გამოცდილების წარმოჩენა<sup>3</sup>, რაც წარმოადგენს კიდევ ერთგვარ გასაღებს მისი თეოლოგიური სისტემის გასააზრებლად, რადგან როგორც მღვდელი ენდრიუ ლაუთი შენიშნავს: „ბულგაკოვი არ წერდა იმდენად ექვარისტული ლიტურგიის შესახებ, რამდენადაც წერდა ექვარისტული ლიტურგიიდან“<sup>4</sup>. ლაუთამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე კი, მამა სერგის ნამონაფარი, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შემენიც (1921-1983)<sup>5</sup> იხსენებდა:

„მამა სერგის ღვთისმეტყველება, მთელს მის სიღრმეში, უპირველესად ლიტურგიულია. ეს არის ღვთისმსახურებაში მიღებული გამოცდილების გახსნა, გადმოცემა იმ საიდუმლოებრივი დიდებისა, რომელიც განმსჭვალავს თავად ამ საიდუმლოს, რომელშიც ის ფუძნობს და ეპიფანიას, რომელსაც წარმოადგენს“<sup>6</sup>.

<sup>3</sup> რა თქმა უნდა, იმ მრავალრიცხოვან ბიბლიოგრაფიას, რომელიც ბულგაკოვის მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტთა კვლევას უკავშირდება, არ აკლია მის ნაწერებში და ნაწილობრივ ცხოვრებაშიც, ექვარისტული და მისტიური გამოცდილების მნიშვნელობის შესწავლაც, რომელსაც სხვადასხვა დროს ცალკეული სტატიები მიეძღვნა, მათ შორის აღსანიშნავია ღვთისმეტყველი მღვდლების ენდრიუ ლაუთისა და საბა მაჟუკოს კვლევები: Louth A., *The Eucharist in the Theology of Fr. Sergii Bulgakov, Sobornost*, Vol.27, No.2, 2005, 36-56; Мажуко С., *Евхаристия в Жизни и Богословии Прот. Сергия Булгакова*, Христианос, N22, 2013, 143-166.

<sup>4</sup> Louth A., *The Eucharist in the Theology of Fr. Sergii Bulgakov, Sobornost*, Vol.27, No.2, 2005, 38.

<sup>5</sup> მოკლე ბიოგრაფიული ცნობებისათვის იხ. მისი სტატიების ქართული თარგმანის შესავალი: შემენი ა., ცოცხალი რწმენის შესახებ (შრომები, ქადაგებები, სტატიები), ო. ზოიდის და ფ. საყვარელიძის თარგმანი, დ. ნადიბაიძის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 8-10.

<sup>6</sup> Шеман А., Три Образа, Вестник РСХД, N101/102, 1971, 19.

ლეონიდე ბ. ებრალიძე

მართლაც, არა მხოლოდ ნააზრევი, არამედ თავად მისი ცხოვრება არის განმსჭვალული ევქარისტიითა და ლიტურგიული ცხოვრებით, რომელიც იქცეოდა, ერთი მხრივ, ღმერთთან ურთიერთობის უდიდეს სულიერ, მისტიურ გამოცდილებად, მეორე მხრივ, კი ბრწყინვალე ინტელექტუალური შემოქმედებითობის წყაროდ.

\* \* \*

სერგი ბულგაკოვი დაიბადა 1871 წელს, რუსეთის ორიოლის ოლქის პატარა ქალაქ ლივნიში, მღვდლის ოჯახში<sup>7</sup>. მოგვიანებით, ნახევრად ხუმრობით იხსენებდა თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში: „მღვდლის ოჯახში დავიბადე, ჩემში ექესი თაობის ლევიტელის სისხლი ჩქეფს“<sup>8</sup>.

საეკლესიო სკოლის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა ყმანვილმა სწავლა ორიოლის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. სემინარიაში გამეფებულმა არაჯანსაღმა გარემომ, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო „მორჩილების“ საფარველქვეშ თავისუფალი აზროვნების შეზღუდვისა და უსამართლობისადმი აბსოლუტურად ლოიალური კადრების მომზადებისაკენ, ახალგაზრდა სემინარისტში, როგორც თავად მოგვიანებით, უკვე მღვდლობაში, შეაფასებს, სამართლიანი პროტესტი ანთო:

„გარემომცველი სამყაროსადმი ჩემი პროტესტის სიმართლე მდგომარეობდა იმ თავისუფლების მოყვარეობის სულში, რომელიც ემიჯნებოდა „სულიერ სამყაროში“ გამეფებულ მონურობას (მის საზღვრებს

---

<sup>7</sup> როგორც ვთქვით, არაერთი ნაშრომი მიეძღვნა პროტოპრესვიტერ სერგი ბულგაკოვის ბიოგრაფიასა და ინტელექტუალურ მემკვიდრეობას. აქ მოგვყავს რამდენიმე ძირითადი სტატია, სადაც მოკლედ არის განხილული მისი ცხოვრება და ღვთისმეტყველება: Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 107-194; Louth A., Modern Orthodox Thinkers: From the Philokalia to the present, London, 2015, 42-59; მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 164-182.

<sup>8</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 33.

მიღმა კი ჩემი გამოცდილება ჯერ კიდევ ვერ აღწევდა). არ შემეძლო და არ მინდოდა (და არც უნდა მდომოდა) მასთან შერიგება, მისგან გავრბოდი საკუთარი სულიერი არსების გადასარჩენად და ამ რბოლას მე დღემდე გამართლებულად მივიჩნევ<sup>9</sup>.

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რასაც შემდეგ ბრწყინვალე მართლმადიდებელი პუბლიცისტი, დეკანოზი ალექსანდრე მენი (1935-1990) შეაფასებს რელიგიური ცნობიერების გაცამტვერებად:

„ბულგაკოვს, როგორც არაჩვეულებრივად გულწრფელ ადამიანს, რელიგიური ცნობიერება გაუცამტვერდა და მისგან მხოლოდ მორალური ცნობიერებაღა დარჩა“<sup>10</sup>.

რწმენადაკარგულმა სერგიმ მოსკოვში განაგრძო სწავლა, პოლიტეკონომიკისა და იურისპრუდენციის ფაკულტეტზე. ასეთი არჩევანის უკან იდგა ფილანთროპიული მოტივი: მას სურდა საკუთარი წვლილი შეეტანა იმ სოციალურ უსამართლობასთან გამკლავებაში, რომელიც რუსეთის ერთ-ერთი მკვეთრი ისტორიული მახასიათებელია. იმდენად გაიტაცა ახალგაზრდა მკვლევარი სოციალისტურმა, კერძოდ კი – მარქსისტულმა ფილოსოფიამ, რომ გადამწყვიტა საკუთარი დისერტაცია მარქსისტული თეორიებისა და მიწათმოქმედების ურთიერთმიმართების საკითხისათვის მიექდუნა<sup>11</sup>.

მიუხედავად ადრეული ასაკის ფილოსოფიური შეხედულებებისა, იგი არასდროს ყოფილა უგრძობი სამყაროში ღვთიური

---

<sup>9</sup> იქვე, 34.

<sup>10</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 166.

<sup>11</sup> Булгаков С.Н., Капитализм и Земледелие, Т. 1-2, Санкт-Петербург, 1900.

ლეონიდე ბ. ებრალიძე

მყოფობის მიმართ<sup>12</sup>. ამ მხრივ, სემინარიის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ძვრა მასში კავკასიონთან შეხვედრა იყო. მოგვიანებით იტყვის, რომ მისი სული ვერ ეგუებოდა ამ დიდებული ბუნების პეიზაჟს ღმერთის იდეის გარეშე. გრანდიოზულმა მთებმა მასში აღძრეს ის ბავშვობის დროინდელი შეგრძნება, რომელსაც განიცდიდა ღმერთთან შეხვედრისას:

„იქნებ ჩემი ბავშვური წმინდა გრძნობები, როდესაც მასთან ვცხოვრობდი, მისი სახის წინ ვიარებოდი, მიყვარდა და ვკრთოდი მასთან მიახლების უძლურებით, იქნებ ჩემი ყმანვილური მხურვალეობა და ცრემლები, ლოცვის სიტკბო, ბავშვური სინმინდე, ჩემგან მასხარად აგდებული... იქნებ ეს ყველაფერი მართალია? მაგრამ განა ეს შესაძლებელია? განა სემინარიაშივე არ ვიცოდი, რომ ღმერთი არ არის?... [...] ღმერთმა ფრთხილად მომიკაკუნა გულის კარზე, მან ეს კაკუნნი გაიგონა, შეირხა, მაგრამ არ გაიხსნა... და ის წავიდა“<sup>13</sup>.

საინტერესოა, რომ დისერტაციის დასასრულებლად გერმანიაში მყოფ მკვლევარში მომდევნო „იდეალისტური“ ძვრა, დრეზდენში,

---

<sup>12</sup> იგი იხსენებს, რომ „არსებითად, მარქსიზმში სულიერი გავლულებისასაც კი, მე ყოველთვის რელიგიურად ვდარდობდი, არასდროს ვყოფილვარ გულგრილი რწმენის მიმართ. თავდაპირველად მწამდა მიწიერი სამოთხისა, მაგრამ თრთოლვით, ხანდახან ცრემლებითაც კი“. Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 36.

<sup>13</sup> Булгаков С.Н., Свет Невечерний, Созерцания и Умозрения, Москва, 1917, 8. (Свет Невечерний-ს დამონმებული პარაგრაფი, «Зовы и встречи» მოგვიანებით შევიდა მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებშიც. შდრ., Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 61-68). საინტერესოა, რომ ამ პირველი მოგონებით აღძრული, მოგვიანებით, კვლავ დაუბრუნდება მამა სერგი კავკასიონის მთებს, მაგრამ ამჯერად უკვე სავსებით გახსნილი იმ ხმობისათვის, რომელიც პირველად განიცადა: „ჩემს წინ ენთო შესაქმის პირველი დღე. ყველაფერი ნათელი იყო, ყველაფერი დაბრუნებად იქცა, მჟღერი სიხარულის აღვსებად“, იქვე, 8.

რაფაელის „სიქსტის მადონასთან“ (დაახ. 1513/1514) შეხვედრისას ხდება:

„სულში ჩამყურებდნენ თვალები ზეციური დედოფლისა, რომელიც ღრუბლებზე მოაბიჯებს საუკუნო ყრმასთან ერთად [...] თავდავინყებულს თვალთაგან სიხარულისა და სიმნარის ცრემლი მდიოდა და გულში ყინულს ალლობდა, რომელიღაც სასიცოცხლო კვანძს ხსნიდა. ეს არ ყოფილა ესთეტიური ღელვა, ეს იყო შეხვედრა, ახალი ცოდნა, სასწაული... და ჩემდაუნებურად, ამ ჭვრეტას ვუნოდე ლოცვა“<sup>14</sup>.

გარდა ამ შეხვედრებისა, რომელიც შეიძლება შეფასდეს ერთი მხრივ ბუნებაში მეორე მხრივ კი ხელოვნებაში ღმერთის ჭვრეტის უნიკალურ გამოცდილებად (რაც ეხმიანება დიდი ქრისტიანი მამების, მისტიკოსებისა და ასკეტების გამოცდილებას), უშუალოდ დისერტაციის დასკვნებიც მიიყვანენ ბულგაკოვს მარქსიზმის უარყოფამდე, რადგან იგი არ ყოფილა „პოლიტიკური მითების ფანატიკოსი და რწმენით მარქსისტი, იგი სწავლული, მეცნიერი იყო!“<sup>15</sup>

გერმანიიდან დაბრუნებული ბულგაკოვი 1901 წელს კიევში დაინიშნა პროფესორად. 1906 წლიდან კი მოსკოვში განაგრძო საპროფესორო კარიერა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატიც გახდა. ამასობაში იგი გაეცნო XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანი ფილოსოფოსის ვლადიმირ სოლოვიოვის (1853-1900) ნაწერებს და მატერიალისტური ფილოსოფიიდან მისი იდეალისტურ სოფლმხედველობასთან მობრუნებამ ნელ-ნელა დაიწყო რელიგიური ფორმების შექმნა. მეტიც, უკვე მოსკოვში მოღვაწეობისას ის აცნობიერებდა, რომ აღარ ჰყოფნიდა ღმერთის ფილოსოფიური იდეა, რომ საჭირო იყო რაღაც, იდეაზე მეტი, იესო ქრის-

<sup>14</sup> იქვე, 9.

<sup>15</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 168.

ლეონიდე ბ. ებრალიძე

ტეში ცოცხალი რწმენა. ამ რელიგიურ ფერისცვალებას ყველაზე ცხადად იგი ევქარისტის წინაშე განიცდის:

„მასხოვს, ერთხელ დიდი ხუთშაბათისას (მაშინ დე-პუტატი ვიყავი), ტაძარში შევიარე და დავინახე როგორ ეზიარებოდნენ ამაღელვებელი გალობის ფონზე: „სე-რობასა საიდუმლოსა შენისასა...“ ტირილით გამოვვარ-დი გარეთ და აცრემლებული გავუყევი მოსკოვის ქუჩებს, საკუთარი უძლურებითა და უღირსების შეგრძ-ნებით გათანგული. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ არ ამიტაცა ძლიერმა ხელმა...“<sup>16</sup>

ტრაგიკული აღმოჩნდა 1909 წლის ზაფხული ბულგაკოვებისა-თვის – გარდაიცვალა ოჯახის უმცროსი წევრი, ოთხი წლის ივა-შეჩკა. თითქოს გამოუვალ სასონარკვეთაშიც კი, კვლავ იჩენს თავს ღმერთთან შეხვედრის ის გამოცდილება, რომელსაც შეუძლია ადამიანური ტრაგედიაც კი ევქარისტიად გარდაქმნას. სულის-შემ-ძვრელია ის სურათი, რომელსაც მოგვიანებით თავად სერგი აღ-წერს მოგონებებში: მგლოვიარე მამა დგას შვილის ცხედართან და ფიქრობს კიდევ ერთი მამის, აბრაამის განცდებზე, როდესაც ის დასცქერის სამსხვერპლოდ დაგდებულ საკუთარ შვილს, ამ დროს კი კიდევ ერთი მამა გამოეხმიანება მას, თავისი მხოლოდშობილი ძის ჯვარცმიდან, რომელსაც იმ წამს შენიშნავს ივაშეჩკას ცხედრის თავზე.

სასაფლაოსკენ მიმავალი მამა პროცესიისას იტყვის: „ზეცა გა-იხსნა და მასში აღესრულებოდა ჩვენი აპოკალიფსი“. ეს ხედვა იმ-დენად ძლიერი, იმდენად რეალისტური აღმოჩნდება მისთვის, რომ მიცვალებულისათვის აღვლენილ წირვაზე საკურთხეველში ანგე-ლოზს დაინახავს:

---

<sup>16</sup> Булгаков С.Н., Свет Невечерний, Созерцания и Умозрения, Москва, 1917, 10.

„ლიტურგია მიდიოდა, არ ვიცი სად აღესრულებოდა ის, ზეცაში თუ მიწაზე [...], მაგრამ ვინ დგას საკურთხეველის მარჯვნივ? განა ზეციური თანამსახური არ არის?“ [...] როგორ შეიძლება არ მჯეროდეს, რომ ლიტურგია ანგელოზთა თანამსახურებით აღესრულება, როდესაც მე ეს დავინახე“<sup>17</sup>.

ივაშეჩკას გარდაცვალების შემდეგ, 1910 წელს სერგი ბულგაკოვმა გაიცნო პავლე ფლორენსკი (1882-1937), გენიალური ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, რომელმაც ფაქტობრივად მონამეობრივად დაასრულა ცხოვრება სოლოვეცკის კუნძულებზე<sup>18</sup>.

ფლორენსკი, რომელიც 1911 წელს მღვდლად ეკურთხა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ბულგაკოვის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნებისა. მათ მეგობრობას მიუძღვნა მიხაილ ნესტეროვმა (1862-1942) ცნობილი ტილო „ფილოსოფოსები“, სადაც ადრეული შემოდგომის ფონზე გამოსახულნი არიან ჩაფიქრებული მოაზროვნეები: „მხატვრის ჩანაფიქრში ეს იყო არა უბრალოდ ორი მეგობრის პორტრეტი, არამედ ეპოქის სულიერი ხედვა [...] სერგის სახეზე აღბეჭდილია ღრმა ტრაგიზმი და ნებელობითი დაძაბულობა; მამა პავლეს სახე კი სავსეა გამარჯვებულის სიმშვიდით, სიხარულით“<sup>19</sup>.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს ტილო, სადაც სერგის სახეზე ღრმა შინაგანი ბრძოლაა აღბეჭდილი, 1917 წელს დაინერა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სწორედ ის პერიოდი, როდესაც, ჩვენი პროტაგონისტი ყველაზე ძლიერ განიცდის ეკლესიისაკენ საკუთარ სწრაფვას, მისი დაბრუნება არ არის მხოლოდ ფილოსოფიური

<sup>17</sup> იქვე, 14.

<sup>18</sup> აღსანიშნავია მამა პავლე ფლორენსკის კავკასიური ფესვები, მისი დედა, ოლგა საფაროვა ყარაბაღელი იყო, ბებია კი სიღნაღელი პაატაშვილი. მოსკოვში გადასახლებამდე, პავლე ფლორენსკიმ თბილისში მიიღო სასკოლო განათლება. იგი თბილისის მეორე გიმნაზიის 1899 წლის კურსდამთავრებულია. პავლე ფლორენსკის შესახებ იხ., მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 183-204.

<sup>19</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 131.



ლეონიდე ბ. ებრალიძე

შეხედულებების ცვლილება, იგი დგას რადიკალური გადანწყვეტილების წინაშე:

„სულში იღვიძებდა სურვილი (რომელიც საიდუმლოდ ყოველთვის მყოფობდა ჩემში) სახლში საბოლოო დაბრუნებისა, ღვთისმსახურის ხარისხის მიღებით. ამ წლებში მეგობრებთან საუბრისას თავს ვუწოდებდი „საკურთხევლის მოღალატეს“. არასაკმარისად მეჩვენებოდა „მსოფლმხედველობის“ შეცვლა, ჩემში „ლევიტელის“ სისხლი სულ უფრო ყიოდა, სულს ღვთისმსახურება სწყუროდა, საკურთხევლისაკენ მიილტვოდა (ერთხელ თავადმა ევგენი ტრუბეცკოიმ მითხრა, რომ ხანდახან მას უჩნდება განცდა, თითქოს „ოღარით ვარ დაბადებული“)<sup>20</sup>.

1917 წელს ბულგაკოვი უკვე მონაწილეობდა მოსკოვის ადგილობრივ საეკლესიო კრებაში როგორც დელეგატი<sup>21</sup>, თუმცა

---

<sup>20</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 37.

<sup>21</sup> საუბარი გვაქვს რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1917-1918 წლებში. საიმპერიო ხელისუფლების კრიზისის შედეგად მიღებული თავისუფლებით ისარგებლა რა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა, 1917 წელს გამოაცხადა ამავე წლის 15 აგვისტოს კრების მონვევის შესახებ. კრების მნიშვნელოვან გადანწყვეტილებათა შორის იყო მოსკოვში პატრიარქობის აღდგენა, რომელიც 1721 წლიდან გაუქმდა პეტრე პირველის რეფორმის შედეგად, ეკლესიას კი მართავდა სინოდი, იმპერატორის მიერ დანიშნული ობერპროკურორის მეთაურობით. გარდა დასახელებული საეკლესიო ადმინისტრაციული გადანწყვეტილებისა, კრება შეეხო ეკლესიის ცხოვრებისა და მოწყობის ყველა სხვა სფეროსაც, დანყებული საეკლესიო ადმინისტრირების საკითხებით: საეროთა და სასულიეროთა თანამშრომლობის ნორმებით, რომლითაც კრებისთანავე იმართებოდა ეკლესიის მოწყობის ყველა საფეხური, მათ შორის სამრევლოც, დამთავრებული ეკლესიის სოციალური მსახურების იდეით. სამწუხაროდ, კრების დადგენილებათა იმპლანტაცია შეუძლებელი გახდა ბოლშევიკური მთავრობის მხრიდან ეკლესიის დევნის დანყების პირობებში. კრების შესახებ ამომწურავი ინფორმაციისა და დოკუმენტაციისათვის იხ., Дестивель И., Поместный Собор Российской Право-

მღვდლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ეკლესიისა და პირადად მისი ცხოვრების ერთ-ერთ უმძიმეს მომენტში მოუწია.

1918 წელს, როდესაც ეკლესიის წინააღმდეგ ბოლშევიკური რეპრესიები უკვე დაწყებულია, მან მიიღო ცნობა ყირიმის სანაპიროსათვის ცეცხლის გახსნის შესახებ, სადაც მისი ოჯახი იმყოფებოდა. ინფორმაციის გავრცელების ტემპები და სანდო წყაროთა ნაკლებობა დიდ გაურკვევლობას აჩენდა: „მქონდა საფუძველი - იხსენებს მოგვიანებით – მეფიქრა, რომ მთელი ჩემი ოჯახი დაიღუპა. დავრჩი მარტო, ღვთის სახის პირისპირ და მივხვდი, რომ აღარაფერი მაბრკოლებდა, რათა გადამედგა ის ნაბიჯი, რომლის საჭიროებასაც დაახლოებით ათწლეულია განვიცდიდი სულში“<sup>22</sup>.

ამასთანავე იზრდებოდა ბულგაკოვის დაკავების საფრთხეც<sup>23</sup>, ამიტომ ის სასწრაფოდ დაუკავშირდა მოსკოვის ეპარქიის ვიკარს, ეპისკოპოს თეოდორე ვოლოკოლამელს (1876-1937) ხელთდასხმის თხოვნით. გადაწყვეტილებას მხარს უჭერდა მოსკოვის პატრიარქი ტიხონიც (1865-1925)<sup>24</sup>. გადაწყდა პროფესორ ბულგაკოვის

---

славной Церкви 1917-1918 гг. и Принцип Соборности, Москва, 2008. (= Н. Destivelle, *The Moscow Council (1917–1918): The Creation of the Conciliar Institutions of the Russian Orthodox Church, Notre Dame* 2015).

<sup>22</sup> Булгаков С.Н., *Автобиографические Заметки*, Москва-Берлин, 2016, 37.

<sup>23</sup> ამ საფრთხის შესახებ ინფორმირებულნი ყოფილან მისი მეგობრებიც, ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ერთხელ, გვიან ღამით, თავადმა ევგენი ტრუბეცკოიმ მეგობრულად გამაფრთხილა ტელეფონით, ლათინურ (!) ენაზე, რომ იმ ღამით ჩემს დაკავებას აპირებდნენ. როდესაც მაშინ დასაძინებლად დავწექი, თავი შეუძლოდ ვიგრძენი, სიცხემ ამინია. დილით ექიმმა აპენდიციტის გართულება დამიდგინა, თუმცაღა სასწრაფო ოპერაცია არ მოუთხოვია. საჭირო იყო სხვაგან დავმალულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამის გაფრთხილება არ ახდა“. Булгаков С.Н., *Автобиографические Заметки*, Москва-Берлин, 2016, 38.

<sup>24</sup> ტიხონ ბელავინი - მოსკოვის პირველი პატრიარქი, 1721 წლის შემდეგ. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ინტელექტუალი, პატარაობის პერიოდში იზიარებდა იმ დევნასა და შევიწროებას, რომელსაც რუსეთის ეკლესია განიცდიდა. 1981 წელს რუსეთის სამღვდელმთავრო კრებამ იგი წმინდანად შერაცხა. მოკლე ბიოგრაფიისათვის იხ., Gavrilkin K., St. Tikhon (Belavin) (1865–1925), in: *The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity*,

ლეონიდე ბ. ებრალიძე

მღვდლად ხელთდასხმა სულთმოფენობის დღეს. გზას მღვდლობამდე და ხელთდასხმის განცდებს თავადვე იხსენებს ემოციურად:

„მამ ასე, გადანყვეტილია, მაგრამ ბრწყინვალე დღესასწაულს მაცილებს ვნების შვიდეული – სულიერი მზადების პერიოდი. ჯერ კიდევ არავინ იცოდა ჩემი გადანყვეტილების შესახებ და მეც მხოლოდ უახლოეს მეგობრებს გავანდე. ეს იყო თითქოს გამომშვიდობება მათთან, სულიერი ქორწილის წინ, მაგრამ ასევე თითქოს დღეობა სიკვდილის წინაც. გულში ვინახავ წმინდა მოგონებებს ამ შეხვედრათა შესახებ: აქ იყო სიხარულის ცრემლებიც, მღელვარებაც, სიყვარულის სიტყვებიც, მეგობრული დარიგებანიც... [...]

ხელთდასხმის წინა ვნების შვიდეული ჩემთვის მდგომარეობდა ამ ცხოვრებისათვის სიკვდილის მზადებაში, რომელიც დაიწყო მაშინ, როდესაც გადანყვეტილება მივიღე. არ ვიცი როგორ, მაგრამ ჩემს ცნობიერებაში აღიბეჭდა ცხადი შეგნება იმისა, რომ ეს სიკვდილი არის ნებაყოფლობითიც და გარდაუვალიც, რომელსაც ვერ გაექცევი, მაგრამ არც უნდა გინდოდეს მისგან გაქცევა. ეს იყო ხანგრძლივი აგონია, ყოველდღიურად განვიცდიდი სხვადასხვა რამეს, იყო ტანჯვაც, რომელსაც ვერ აღვწერ, მაგრამ ერთხელაც არ გამივლია ფიქრად უკან დახევა. ამასთანავე მქონდა შეგრძნება, რომ ისე მივიწვედი წინ, თითქოს იქ დიდი ქვის კედელი ჩიხს მიქმნიდა. ეს ტანჯვა შეიძლება შევადარო ჩემი უკანასკნელი სასიკვდილო ავადმყოფო-

---

Vol. II, Edited by A.J. McGuckin, Chichester, 2011, 553-555. აქვე უნდა ითქვას, რომ პატრიარქი ტიხონი ეწინააღმდეგებოდა და არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის მხრიდან 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენას. იხ., 1917 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული მისი წერილი ქართველი ეპისკოპოსებისადმი: *Церковная Ведомости, Издаваемая При Святейшем Правительствующем Синоде*, №3-4, 1918, 13-18. ასევე იხ., პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის (1861-1921) საპასუხო ეპისტოლე ტიხონისადმი, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, N4, 1990, 64-76.

ბის ტანჯვას, თუმცა მას თან არ ახლდა ფიზიკური ტკივილი (თუ არ ჩავთვლით ჩემთვის ჩვეულ უძილობას). მაშინ ეს სიკვდილი ჩემთვის წარმოადგენდა აბსოლუტურად აუცილებელს და მნიშვნელოვანს, რომლის აცილება ისევე არ შემეძლო, როგორც ზოგიერთი სულიერი მოცემულობისა. ის ჩემში ღვიოდა და გულს მიფერფლავდა. სულიერი შობის ეს ტკივილი უფლის უდიდესი მონყალება გახლდათ. რას არ მივცემდი, ოღონდ კიდევ ერთხელ მენახა ჩემი მაშინდელი, რა თქმა უნდა, ახლა დაღუპული, ჩანანერები.

ამ სიკვდილის დღეთა მინურულს, 9 ივნისს, სულთმოფენობის წინა დღესასწაულზე გავემგზავრე დანილოვოს მონასტერში, ყოვლადუსამღვდელოეს თეოდორესთან, თან მიმქონდა ბოლჩა საეკლესიო სამოსით (ამავე ბოლჩით უკვე ჩემი სერთუკი წამოვიღე შინ), მონასტერში გავათენე. მოსკოველები ამ მონასტერს იცნობენ სასაფლაოთი, რომელზეც განისვენებს ფერფლი ხომიაკოვისა, გოგოლისა და სხვათა... სულთმოფენობას ხელი დამასხეს დიაკვნად. თუკი შესაძლებელია გამოუთქმელის გამოთქმა, ვიტყვი, რომ ეს პირველი, სადიაკვნე კურთხევა გადავიტანე როგორც ყველაზე ცეცხლოვანი. ყველაზე ბრწყინვალე მომენტი, რა თქმა უნდა, იყო პირველი შესვლა აღსავლის კარში და პირველი მიახლება წმინდა ტრაპეზთან. ეს განმწმედელ, განმანათლებელ, ახალადმშობელ ცეცხლში გავლას ჰგავდა, უცხო ქვეყანაში შესვლას, ზეციურ სამეფოს. აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი მდგომარეობა, რომელშიც დღემდე ვიმყოფები. როდესაც ვბრუნდებოდი სახლში, ბოლშევიკურ მოსკოვში ანაფორიანს, რომელსაც ჯერ ვერც შევგუებოდი, არცერთი უხეში სიტყვა, უხეში გამოხედვა არ შემხვედრია. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა გოგონამ მოსკოვური კილოთი მითხრა: სალამი მამაო! ბუკვალურად განმეორდა იგივე მეორე დღეს, როდესაც სახლში უკვე არა დიაკვანი, არამედ

მღვდელი ვბრუნდებოდი. მაშინ ჩემი მზარეული, საოცარი ანუშკა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში მდუმარე თანაგრძნობით უცქერდა მოვლენებს, შემხვდა სიტყვებით: დამლოცე მამაო! და მან პირველმა მიიღო ჩემგან ლოცვა-კურთხევა (მას მოჰყვა ჩვენი სახლის შვეიცარიც).

სული წმინდის დღეს ეპისკოპოს თეოდორეს მსახურება ჰქონდა სასაფლაოს სული წმინდის ტაძარში. დანილოვოს მონასტრიდან ლიტანიობით გავემართეთ ტაძარისაკენ, მე ეპისკოპოსის გვერდით მივდიოდი დიაკვნის სტიქრითა და სანთლით. მანძილი პატარა არ ყოფილა, მაგრამ მშვიდად და უინციდენტოდ გავიარეთ. ხელთდასხმაზე მოვიდნენ ჩემი მეგობრებიც, რომელნიც მოსკოვში იმყოფებოდნენ. [...] მღვდლად ხელთდასხმის განცდები უფრო მეტად აღუნერელი იყო, ვიდრე დიაკვნობისა – უმჯობესია მდუმარება. ეპისკოპოსმა თეოდორემ საკურთხეველში მითხრა სიტყვა, რომელმაც მაშინ აღმაფრთოვანა, თუმცა კი დღეს მისი სრულად გახსენება აღარ შემიძლია. იყო საერთო სიხარული, თვით მე კი განვიცდიდი მშვიდ ლხენას, მარადიულობის შეგრძნებას. სიკვდილის დღეები ისე მიიწურა, როგორც ვნების შვიდეული აღდგომის ბრწყინვალეობაში. ის, რასაც მაშინ ვგრძნობდი, იყო კიდევ აღდგომის სიხარული“<sup>25</sup>.

როგორც მისი თანამედროვეები იხსენებენ, მამა სერგი მღვდლად, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიის აღსრულებისათვის ეკურთხა და ამ სახით, იტყვის ალექსანდრე მენი, „იგი თავის ძირეულ მოწოდებას, თავის ნამდვილ ბუნებას დაუბრუნდა“<sup>26</sup>.

---

<sup>25</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 40-43.

<sup>26</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 176.

პირველი ღვთისმსახურებები ბულგაკოვმა მამა პავლე ფლორენსკისთან ერთად აღასრულა, რომელიც მოსკოვში შეყოვნდა, თავისი მეგობრის დასახმარებლად<sup>27</sup>. სწორედ მასში ხედავდა მამა სერგი მღვდლობის იმ მოდელს, რომელიც მისი მოწოდების ერთ-ერთ შთამაგონებლად და სამღვდლო ცხოვრების მაგალითად იქცა: „მამა პავლეს ჰქონდა მოწოდება მწყემსობისაც, მასწავლებლობისაც, მაგრამ უპირველესად და ყველაზე მეტად მას იზიდავდა უფლის საკურთხეველის წინაშე დგომა, ლიტურგიულ-ეკლესიისტიული მსახურება... მასში მარადიულობის ხმა წარმავალ ხმაურზე გაცილებით ხმამაღლა ჟღერდა“<sup>28</sup>.

გულითად მეგობრებს ერთად დიდხანს ყოფნა არ ეწერათ. 1918 წელს მამა სერგი იძულებული გახდა ყირიმში გადასახლებულიყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, 1922 წელს ბულგაკოვების ოჯახს ყირიმის დატოვებაც მოუწია. თავდაპირველად კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ, სადაც აგია-სოფიას ნახვის შემდეგ აღფრთოვანებულმა პატარა ჩანანერი გააკეთა, რომელიც საღვთისმეტყველო პოეზიის ნამდვილი ნიმუშია, შთაგონებული „აქამდე ნანახ დიდებულ ტაძართა შორის, ერთადერთი ნამდვილი კათოლიკე ტაძრით“. რა თქმა უნდა, ისტორიისა და ქრისტიანული მემკვიდრეობის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ხედვასთან ერთად, რომელსაც საოცარი სიღრმითა და გულწრფელობით გადმოსცემს, მამა სერგი გულგრილი არ დარჩენილა არც ლიტურგიული ასპექტისადმი:

<sup>27</sup> თავის წიგნში - *Столп и утверждение Истины* - შესულ წერილებში, თითქოს წინასწარმეტყველურად, ღრმა პოეტურობით იტყვის მამა პავლე ფლორენსკი თავის მეგობარზე: „ერთი მეორის მიყოლებით ცვიოდნენ ფოთლები, როგორც მომაკვდავი პეპლები, ნელა ტრიალებდნენ ჰაერში და მიწისკენ ეშვებოდნენ... ჩემო შორეულო, ჩემო მღუმარე ძმაო! შენში გაზაფხულია, ჩემში კი შემოდგომა...“; ვიმონმებთ სტატიიდან: *Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды*, N27, 1986, 131.

<sup>28</sup> მოგონებას ვიმონმებთ სტატიიდან: *Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды*, N27, 1986, 137.

„არაა შემთხვევითი, რომ აქ, აგია-სოფიაში, ღვთის სიბრძნისათვის და ღვთის სიბრძნის მიერ ჩამოყალიბდა და გახშირდა მთელი სისრულითა და ღვთაებრივი მშვენიერებით მართლმადიდებლური ღვთისმსახურების სოფიური სიმფონია [...] ღმერთო რა წმინდაა, რა საკვირველი, რა შეუფასებელი ეს მოვლენა [...] ვდგამ შემდეგ ნაბიჯებს ყოფილი საკურთხევლისკენ, რომელიც ამჟამად გაუდაბურებულა. ფიქრები უნებურად წარსულში გადადიან: რა იქნებოდა მაშინ, თუ გაუდაბურებული ტაძარი ასეთი დიდებულია... რა იქნებოდა აქ, როდესაც მეფე და პატრიარქი სინკლიტთან და კლიროსთან ერთად, შემოსილნი ოქროს ბისონებით, ზეციური იერუსალიმის ოქროსფერში ღვთისმსახურებდნენ, ტაძარი სავსე იყო მლოცველებით, საკურთხეველი ცეცხლივით ენთო და იკმეოდა საკმეველი: როდესაც იყო სიცოცხლის სისავსე და არა მიცვალებული სხეული! დედამინაზე არ ყოფილა სხვა მსგავსი ჩანაფიქრი ამ ტაძარში ღვთისმსახურების საღმრთო განგების ჩანაფიქრისა, ისევე, როგორც არსად ყოფილა ღვთისმსახურების მსგავსი მშვენიერება. შესაძლოა ვილაცხას ეს მოსჩვენებოდა ფუფუნებად, საიმპერატორო ახირებად, თანამედროვეთათვის უსარგებლოდ ან საზიანოდ, მაგრამ ქრისტესთვის ნელსაცხებლის მცხები ქალიც ხომ „არაპრაქტიკულად“ აღასრულებდა სურნელების ცხებას?!“<sup>29</sup>.

ბულგაკოვი სტამბოლიდან მალევე გაემგზავრა ჩეხეთში, სადაც პრალის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა, 1925 წლამდე, როდესაც მიტროპოლიტიმა ევლოგიმ (1868-1946)<sup>30</sup> დააარსა პარიზის წმინდა

---

<sup>29</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 100-102.

<sup>30</sup> მიტროპოლიტი ევლოგი გეორგიევსკი - დასავლეთ ევროპის რუსული ემიგრაციის მღვდელმთავარი. 1927 წლამდე ირიცხებოდა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის (ე.წ. „ზარუბეჟნიკების“) სინოდში, მაგრამ, ერთი

სერგის სახელობის საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. სახელოვანი ინსტიტუტის პირველი დეკანი სწორედ მამა სერგი გახდა.

პარიზში, ინსტიტუტის დეკანმა და დოგმატური ღვთისმეტყველების პროფესორმა მალევე მოიპოვა საერთაშორისო აკადემიური აღიარება დასავლურ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ წრეებში (შეიძლება ითქვას, რომ დღემდე უცვლელად ინარჩუნებს ამ აღიარებასა და პოპულარობას).

ამ ფონზე საინტერესოა ის, რაც ხშირად რჩება მკითხველისა თუ მკვლევარისათვის შეუმჩნეველი – მამა სერგი, აკადემიკოსი ღვთისმეტყველის გარდა, იყო მისტიკოსი და მღვდელი. როდესაც საკუთარ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში „ჩემი ცხოვრების გზა“, მიტროპოლიტი ევლოგი წმინდა სერგის ინსტიტუტის გახსნას აღწერს, რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, გარდა სამეცნიერო პროფილისა, რაზეც ბუნებრივია, ყველაზე მეტი უნდა ჰქონოდა სათქმელი, ის მამა სერგის შემდეგი სიტყვებით იხსენებს: „ბულგაკოვმა თავი მისცა ეკლესიის მსახურებას, ტანჯვის ცეცხლში განწმედილი სულით. იგი იქცა მზრუნველ და მლოცველ მწყემსად, შესანიშნავ მქადაგებლად და მოძღვრად; ევქარისტის უდიდესი კრძალვით აღმსრულებელ მღვდელმსახურად“<sup>31</sup>.

---

მხრივ, ამ სინოდის მკვეთრმა კონსერვატიზმმა და მონარქისტულმა ხედვებმა, მეორე მხრივ, კი მოსკოვის საპატრიარქოს (ე.წ. „სერგიანელების“) მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი გამოცხადებულმა ლოიალობამ მიტროპოლიტი ევლოგი აიძულა საკუთარ სამრევლოებთან ერთად მოექებნა მესამე გზა, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აღმოჩნდა. ასე შეიქმნა მსოფლიო საპატრიარქოს წიაღში რუსული ტრადიციის საეგზარქოსო, რომელსაც უკავშირდება XX საუკუნის ბზრყინვალე მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა პლეადა ისევე, როგორც პარიზის წმინდა სერგის საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. მოკლედ ხსენებული მოვლენების შესახებ იხ., McGuckin J.A., *Western Europe, Orthodoxy*, in: *The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity*, Vol. II, Edited by A.J. McGuckin, Chichester, 2011, 632-635. 2018 წელს მსოფლიო საპატრიარქოს სინოდმა ცალხმრივი გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსული საეგზარქოსო დაშლილად გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება კანონიკური თვალსაზრისით გამართლებული იყო, პასტორალური თვალსაზრისით ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდა.

<sup>31</sup> Георгиевский Е., *Путь Моей Жизни*, Париж, 1949, 449.



ლეონიდე ბ. ებრალიძე

მიტროპოლიტ ევლოგის მონაზობა არ არის ერთადერთი. როგორც იმ ეპოქის სტუდენტები იხსენებენ, იგი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ლოცვას, არასდროს აცდენდა ყოველდღიური ცისკრის მსახურებას, კვირაში ორჯერ კი, ინსტიტუტის სამლოცველოში თავად აღასრულებდა ადრეულ ლიტურგიას<sup>32</sup>.

მისი მეგობრებისა და სულიერი შვილებისათვის ის წარმოადგენდა მღვდლობისა და წინასწარმეტყველების ერთგვარ სინთეზს, როგორც ამას ცნობილი ფილოსოფოსი, ლევ ზანდერი (1893-1964) იხსენებს: „არაფერი ისე ძლიერ არ აღმაფრთოვანებს მამა სერგიში, როგორც ორი სტიქიის ერთად თავმოყრა: მღვდლობა, დაკავშირებული ეკლესიის წარსულის უდიდეს სიმდიდრესთან და წინასწარმეტყველება, მომავლისაკენ მისწრაფებულ“<sup>33</sup>.

ლევ ზანდერის კვალდაკვალ, აუცილებელია ასევე შევეხოთ მის კოლეგას, პროფესორ ვლადიმერ ილინს (1891-1974), რომელიც გაიხსენებს, რომ სულიერი გამოცდილებითა და შინაგანი ძალით მამა სერგის ვერავინ შეედრებოდა, თავისი ეპოქის მღვდელთა შორის, გარდა ან უკვე წმინდანად შერაცხული მღვდელი ალექსი მეჩვეისა (1859-1923).

ბულგაკოვის სულიერ შვილს, მონაზონ ელენე პოლონსკაიას (ციტირებულ სტატიაში) მოგროვილი აქვს მოგონებები პარიზის წმინდა სერგის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტებისა და პროფესორებისა, და თუ შეიძლება ამ მოგონებათა ერთ ფრაზაში მოქცევა, იგი თავისი კოლეგების, სტუდენტებისა და სულიერი შვილებისთვის იყო ნამდვილი „სტარეცი“, რომელიც საკუთარ საღვთისმეტყველო ხედვას, უპირველეს ყოვლისა, მღვდლობის საიდუმლოს გამოცდილებაში აფუძნებდა<sup>34</sup>: „ღვთისმეტყველება - ხშირად უმეორებდა თავის სტუდენტებს – ბოლომდე უნდა შეისვას ექვარისტიული თასიდან“.

1929 წელს ბულგაკოვი მძიმედ დაავადდა. როგორც იხსენებდა, გრძნობდა მიღმიერ სამყაროში გადასვლას, გრძნობდა, ყოვლად-

---

<sup>32</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 144.

<sup>33</sup> იქვე, 145.

<sup>34</sup> იქვე, 145-147.

ნმინდა ღვთისმშობლის სიახლოვეს, რომელიც მას ამ გზაზე მიაცილებდა და რომელიც მისთვის ახალ გამოცდილებად იქცა: „საბოლოოდ გავაცნობიერე, რომ არსებობს მხოლოდ ღმერთი და მისი წყალობა, რომ ცხოვრება ღირს მხოლოდ ღმერთისთვის, ღმერთის სიყვარულისთვის, ღვთის სასუფევლის ძიებისათვის ის ყველაფერი კი, რაც მას ახშობს, არის მხოლოდ თავის მოტყუება“. ამ აგონიისას მას ესმოდა ხმა, როგორც თავად ამბობს, შესაძლოა მფარველი ანგელოზისა, რომელიც მოუწოდებდა უკან დაბრუნებისაკენ: „არ შემიძლია ჩავწვდე, ეს როგორ მოხდა, მაგრამ იმავე ხმამ, რომელმაც გამათავისუფლა ამ ქვეყნის ცხოვრებისაგან, იგივე სიტყვით განმიჩინა უკან მობრუნება. შინაგანად უკვე ვიცოდი, რომ ვჯანმრთელდებოდი“<sup>35</sup>.

სამწუხაროდ, დაავადება არ ყოფილა ბულგაკოვის ცხოვრების ერთადერთი შფოთი. მას, სამშობლოდან დევნილს, პარიზშიც მოუწია დევნილობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე იყო 1935 წელი, როდესაც ის განსჯილი იქნა, როგორც ერესის მქადაგებელი<sup>36</sup>, ე.წ. „ზარუბეჟნიკების“ სინოდზე. საქმე ეხებოდა ცნობილი რუსი ფილოსოფოსის, ვლადიმერ სოლოვიოვისაგან (1853-1900)<sup>37</sup> პავლე ფლორენსკისა და სერგი ბულგაკოვის მიერ ნამემკვიდრევე სოფიოლოგიურ იდეას<sup>38</sup>. რა თქმა უნდა, სოფიოლოგიაში არის მთელი რიგი

<sup>35</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 126.

<sup>36</sup> ბულგაკოვისათვის წაყენებული ბრალდებების შესახებ დანვრილებით იხ., Зеньковский В., Дело об Обвинении о. Сергия Булгакова в Ереси (Глава из Неизданных Воспоминаний), Вестник РХД, N149, 1987, 61-65.

<sup>37</sup> მოკლე ბიოგრაფიისათვის იხ., Gavrilkin K., Solovyov Vladimir, in: The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity, Vol. II, Edited by A.J. McGuckin, Chichester, 2011, 576-577.

<sup>38</sup> სოფიოლოგია (ბერძ. Sophia, რომელიც თარგმნის ებრ. Hakhma-ს) უცხო არ ყოფილა პირველ-საუკუნეთა ქრისტიანი მწერლებისათვის. ადრეულ ქრისტიანობაში სწავლება ღმერთის სიბრძნის (შემოქმედი სოფიას) შესახებ გამოიყენებოდა კოსმოლოგიური ქრისტოლოგიის გადმოსაცემად. თუმცა კრებების ეპოქაში მდებდრობითი სქესის სიტყვა „სოფიას“ ამჯობინეს მამრობითი „ლოგოსი“. სოფიოლოგია, რომელიც რუსულ რელიგიურ ფილოსოფიაში კვლავ აქტიური ვახდა XX საუკუნის დასაწყისისათვის, ხშირად ხდებოდა დაპირისპირების მიზეზი, მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა შორის, რადგან ობიექტური ზღვარი სოფიოლოგიასა და ერთ-

ლეონიდე ბ. ებრალიძე

ასპექტებისა, რომლებიც ექვემდებარებიან საღვთისმეტყველო კრიტიკას, მაგრამ როგორც მოგვიანებით ალექსანდრე მენი იტყვის:

„ისეთი გიგანტური ბუნება, როგორც ბულგაკოვს ჰქონდა, უდაოდ აყენებდა მთელ რიგ საკამათო საკითხებს; მას, როგორც ნებისმიერ დიდ ადამიანს, ჰქონდა სუსტი მხარეები. ასეთი რამ არ აქვს მხოლოდ სულელს, რომელიც ანბანურ ჭეშმარიტებას ამბობს: ორჯერ ორი ოთხია. სად იქნება აქ სუსტი წერტილი? ხოლო იქ, სადაც საჭირობოროტო საკითხებია წამოყენებული, სუსტ ადგილებს რა გამოლევს და ბულგაკოვსაც თავს დაატყდა კრიტიკის ქარცეცხლი“<sup>39</sup>.

„ზარუბეჟნიკების“ სინოდი არ ყოფილა ერთადერთი, ვინც სერგი ბულგაკოვის განსჯა გადაწყვიტა. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, იგი მოსკოვის სინოდში დაასმინა ასევე ცნობილმა მართლმადიდებელმა ღვთისმეტყველმა ვლადიმირ ლოსკიმ (1903-1958), რომელმაც „ვერ იპოვა საკუთარ თავში ვაჟკაცობა, წერილობით გაეკრიტიკებინა მამა სერგის შეხედულებები“<sup>40</sup>.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ არც მოსკოვის და არც საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის სინოდებს არ ჰქონდათ უფლება მამა სერგის განსჯისა, რადგან ის კანონიკურად იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში; ასე რომ, თავად ამ სინოდთა მხრიდან, კონსტანტინოპოლის ეკლესიის თანხმობის გარეშე, მისი განსჯის აქტი წარმოადგენდა საეკლესიო გადაცდომას. ბრალდებებში გასარკვევად მიტროპოლიტმა ევლოგიმაც შექმნა სპეციალური კო-

---

გვარ გნოსეოლოგიურ ჰეტეროდოქსიას შორის ძალიან ბუნდოვანია. მოკლედ იხ., Lasser J.M., Sophiology, in: *The Encyclopedia of Eastern Orthodox Christianity*, Vol. II, Edited by A.J. McGuckin, Chichester, 2011, 577-578.

<sup>39</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 179.

<sup>40</sup> Зеньковский В., Дело об Обвинении о. Сергия Булгакова в Ереси (Глава из Неизданных Воспоминаний), Вестник РХД, N149, 1987, 62.

მისია, რომელმაც შეისწავლა ბულგაკოვის ნააზრევი. კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ მისი შეხედულებები წარმოადგენდნენ თეოლოგუმენტებს და არ ჰქონდათ პრეტენზია დოგმატობაზე, მაშასადამე, ისინი შეუძლებელი იყო ერესად მიჩნეულიყო<sup>41</sup>. ისტორია, სწორედ ასე შეაფასებს იმ ტრაგიკულ დაპირისპირებას: „მიდიოდა ცალხმრივი, აგრესიული, უსამართლო და გააფთრებული თავდასხმა ადამიანზე, რომელიც ახალ დოგმატებზე საერთოდ არ აცხადებდა პრეტენზიას, უბრალოდ ხმამაღლა აზროვნებდა. შესაძლებელი იყო მას არ დასთანხმებოდი, მაგრამ მისი ტალახში ამოსვრა უსამართლობა იყო და მეტი არაფერი“<sup>42</sup>.

ერესში დადანაშაულება არ ყოფილა მამა სერგის ერთადერთი გულისტკივილი. ის დაბადებული იყო მღვდლად, რომლის მთელი საღვთისმეტყველო გამოცდილებაც საკურთხეველს უკავშირდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი სამწყსო ჰყავდა, არასდროს ჰქონია საკუთარი ეკლესია. როგორც მონაზონი ელენე იხსენებს, მას ყოველთვის უწევდა მღვდელმთავართან ან ტაძრის წინამძღვართან თანამსახურება. ამ ყოველივეს კი ემატებოდა მისი მარტოობა, გამონვეული სხვა მღვდელმსახურებთან მისი ხედვების სხვაობით, ძირითადად, მორჩილებისა და თავისუფლების პირველქრისტიანული გაგების შესახებ, რომელიც განსაკუთრებული ძალით ცოცხლობდა მის ღვთისმსახურებასა და ღვთისმეტყველებაში<sup>43</sup>.

სწორედ იმიტომ, რომ მამა სერგის ხედვა შთაგონებული იყო უძველესი ქრისტიანული გამოცდილებით და არ ემთხვეოდა ბი-

<sup>41</sup> იქვე, 64-65. აღსანიშნავია, რომ მიტროპოლიტ ევლოგის მიერ შექმნილ კომისიაში თავდაპირველად შედიოდა ბრწყინვალე ღვთისმეტყველი მამა გიორგი ფლოროვსკიც (1893-1979), რომელიც კატეგორიულად არ იზიარებდა ბულგაკოვის სოფიოლოგიურ შეხედულებებს, თუმცა პიროვნულად იმდენად აფასებდა მას, რომ წლების განმავლობაში სწორედ მამა სერგი იყო მისი სულიერი მოძღვარი. სწორედ ამიტომ, პირველი სხდომის შემდეგ, ფლოროვსკი კომისიის სხდომებს აღარასდროს დასწრებია.

<sup>42</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 180.

<sup>43</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 149-151.

ლეონიდე ბ. ებრალიძე

ზანტიურ-რუსული ფეოდალური ქრისტიანობის პრაქტიკას, არც თუ იშვიათად მას მოდერნისტს ეძახდნენ. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი თავისი მასწავლებლისადმი მიძღვნილ მოგონებებში აღწერს სამ ხატებას, რომელიც მასში დარჩა. პირველად მან მამა სერგი პარიზში ხალხმრავალ უბანში შენიშნა: ღვთისმეტყველი, რომელზეც ლეგენდები დადიოდა, გახუნებული ანაფორით, ჩაფიქრებული, გარშემო ქაოსიდან სავსებით გამოყოფილი უჩუმრად მიუყვებოდა ქუჩას. ეს იყო ნამდვილი უბრალოების ხატი:

„შუეძლებელი იყო მამა სერგი წარმოგედგინათ ან სინოდალურ დიდებულებაში, ასე ვთქვათ მიტრით ან ე.წ. გამშვენებული ჯვრით, ან ბიზანტიური ნარჩევი პლასტიკურ-საკრალური გარეგნობითა და რაც მთავარია, არც რაიმე იმ ინდივიდუალური სახით, რაც წარმოაჩენდა მის განსაკუთრებულობას [...] ამ ყოველივეს იმიტომ ვამბობ და იმიტომ ვიხსენებ, რომ ყველაზე ხშირად მის სახელთან იხმარება სიტყვა „მოდერნისტი“. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მისი ყველაზე ღრმა, სულიერი და ფსიქოლოგიური მახასიათებელი, სწორედაც რომ ანტიმოდერნიზმი იყო“<sup>44</sup>.

მეორე ხატება, რომელსაც პროტოპრესვიტერი შმემანი იხსენებს, უკავშირდება დიდი მარხვის ღვთისმსახურებას. ბზობის ცისკრის სახარების კითხვისას, როდესაც წარმოითქმის სიტყვები „უფალო, სად გნებავთ რომ მოგიმზადოთ პასექი“ (მთ. 26:17), ის უნებურად გადაანყდება მამა სერგის თვალებს: „ვერასდროს დავივინყებ მშვიდი აღფრთოვანებით აკიაფებულ მის თვალებს, და მის ცრემლებს, რომლებიც მიმართულნი იყვნენ იქითკენ, სადაც ქრისტემ მოწაფეებთან ერთად აღნიშნა თავისი ბოლო პასექი“<sup>45</sup>.

---

<sup>44</sup> Шмеман А., Три Образа, Вестник РСХД, N101/102, 1971, 13-14.

<sup>45</sup> იქვე, 16. უპირანი იქნება, ამ მოგონების გვერდითვე გაიხსენოთ მისი კიდევ ერთი მოწაფის, დეკანოზ ბორის სტარკის (1909-1996) მოგონებაც: „მამა სერგი კი არ მსახურობდა, ინვოდა და ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა აღდგომის ღამეს, როდესაც ტაძრის კმევისას ისეთი განცდა

მესამე ხატება, რომელსაც მამა ალექსანდრე იხსენებს, ასევე უკავშირდება ლიტურგიას, მაგრამ არა რომელიმე კონკრეტულ მომენტს, არამედ იმას, თუ როგორ მსახურობდა უკვე ავადმყოფი მამა სერგი:

„ბოლო წლებში, ავადმყოფობის გამო ის მხოლოდ ადრეულ ლიტურგიებს აღასრულებდა [...]. რაღაც ისეთი პირველქმნილი, სტიქიური იყო მის მსახურებაში, თავად მის მოუქნელობაშიც კი, რაც მოგაგონებდათ ძველი აღთქმის მღვდელმთავარს. ის უბრალოდ კი არ აღასრულებდა ტრადიციულ ჟამისწირვას რიტუალური წვრილმანებით, არამედ ბოლომდე ინთქმებოდა მასში და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პირველად აღესრულება ლიტურგია, რომელიც ზეციდან ეშვება და მიწიდან კვლავ ზეცას უბრუნდება. პური და ბარძიმი ტრაპეზზე, სანთლის კიაფი, საკმევლის კვამლი, მისი ზეცად აწვდილი ხელები: ეს ყველაფერი არ ყოფილა უბრალოდ *მსახურება*. აქ რაღაც ხდებოდა მთელს სამყაროში, რაღაც კოსმიური, რაღაც მარადიული, *საშინელი და დიდებული*“<sup>46</sup>.

ალექსანდრე შმემანის მიერ ნახსენები ადრეული ლიტურგიების აღსრულება, დაკავშირებული იყო მის ავადმყოფობასთან. 1939 წელს ყელზე აღმოჩენილი სიმსივნის სამკურნალოდ გადატანილი მძიმე ოპერაციის გამო მას ხმა ჰქონდა წართმეული. ეს ოპერაცია იმდენად საშიში იყო, რომ მის წინ, მამა სერგი ეზიარა და გამოემშვიდობა ოჯახსა და ახლობლებს<sup>47</sup>. ეს ავადმყოფობაც, რომელიც

---

რჩებოდა, რომ კი არ დადის, ჰაერში დაფრინავს. მისი სახე კი ისე ანათებდა, რომ ნაკვთები საერთოდ იკარგებოდნენ“. ვიმონებთ სტატიიდან: Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 148.

<sup>46</sup> Шмеман А., Три Образа, Вестник РСХД, N101/102, 1971, 18-19.

<sup>47</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 174-175.

იყო არა სიკვდილის, არამედ მომაკვდავობის სტადია, მისთვის კიდევ ერთხელ იქცევა განსაკუთრებულ მისტიურ გამოცდილებად. იხსენებს საოპერაციო მაგიდაზე აგონიაში ყოფნას: „მე ვკვდებოდი ქრისტეში და ქრისტე ჩემთან ერთად და ჩემში. [...] ვხედავდი მას, ჩემთან ერთად მომაკვდავს, განვიცდიდი მის სიახლოვეს, თითქმის ფიზიკურს. [...] მას შეეძლო დამხმარებოდა ჩემს ტანჯვასა და მომაკვდაობაში, მხოლოდ თანატანჯვითა და თანამომაკვდავობით“<sup>48</sup>.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა, თავდაპირველად, ექიმები ხმის აღდგენაზე იმედს არ იძლეოდნენ. ის, რაც ამ ამბავში განსაკუთრებით სტანჯავდა ბულგაკოვს, იყო იმის გააზრება, რომ ის ველარასდროს იმსახურებდა წმინდა ტრაპეზთან. ამ გრძნობას ამძაფრებდა ის, რომ ახლოვდებოდა სულიწმინდის დღე, მისი ხელთდასხმის იუბილე, როდესაც ყოველთვის აღასრულებდა სამადლობელ ლიტურგიას, ის კი ხმანართმეული იყო. მაგრამ აქაც, სასწაულებრივად, სწორედ დღესასწაულის წინა პერიოდში დაუბრუნდა მას ხმა, თუმცა არა ისეთი, როგორც ჯანმრთელობისას ჰქონდა<sup>49</sup>.

ამასობაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომიც. პარიზის ოკუპაციისას მამა სერგიმ გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა ქალაქი და მიუხედავად საერთო მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელსაც მისი ჯანმრთელობის პრობლემებიც ერთვოდა, მაინც აგრძელებდა სტუდენტებისათვის ლექციების კითხვას. განსაკუთრებით განიცდიდა ომისას უდანაშაულო ბავშვთა ტანჯვას, მაგრამ სწამდა, რომ პირველი, ვინც ამ ბავშვებში და მათთან ერთად იტანჯებოდა, თავად იესო ქრისტე იყო.

სწორედ მამა სერგით შთაგონებულები დაიწყებენ წინააღმდეგობის მოძრაობასთან თანამშრომლობასა და განსაცდელში მყოფთა დახმარებას მონაზონი მარია სკობცოვა (1891-1945)<sup>50</sup> თა-

<sup>48</sup> Булгаков С.Н., Автобиографические Заметки, Москва-Берлин, 2016, 131.

<sup>49</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 176.

<sup>50</sup> წმ. მარია სკობცოვას მოკლე ბიოგრაფიისათვის იხ., მორნმუნე ადამიანები: სამართლიანი ადამიანები, დ. მანასტირეანუს რედაქტორობით, თბილისი, 2011, 65-66.

ვის ამხანაგებთან ერთად, რომლებიც იყვნენ მისი სულიერი შვილები, დღეს კი ეკლესიის მიერ წმინდანებად განდიდდებიან.

რა თქმა უნდა, ომმა და სიდუხჭირემ თავისი წვლილი შეიტანა მამა სერგის ისედაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებაში. 1944 წელს, სული წმინდის დღის მოახლოებასთან ერთად, მასთან სტუმრად მყოფი ლევ ზანდერისათვის უთხოვია, მისუღიყო მისი ხელთდასხმის საიუბილეო წირვაზე, რადგან ეს იქნებოდა ბოლო. მართლაც, ეს მისი ბოლო წირვა აღმოჩნდა, რადგან იმ ღამითვე ჩავარდა ლოგინად და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 13 ივლისს გარდაიცვალა<sup>51</sup>.

როგორც მოწმეები ყვებიან, მისი გარდაცვალებაც ისეთივე საოცარი იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება: „ეს არ იყო სიკვდილი, არამედ ფერისცვალება [...] რამდენიმე საათის განმავლობაში მისი სახიდან უჩვეულო სინათლე მოდიოდა, რომელსაც ყველა ხედავდა, ვინც იქ იყო. ეს იყო არა აგონია, არამედ სულის ამაღლება“<sup>52</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა შემდეგი მოგონება მამა სერგიზე, მას უპირველეს ყოვლისა სახავს მღვდლად, ადამიანად, რომელიც იყო მსახური ექვარისტიისა და ექვარისტიის გარშემო შეკრებილი ღვთის ერისა. მისი ეს პროფილი იმდენად ძლიერი და განმსჭვალავი იყო, რომ მიტროპოლიტმა ევლოგიმ დიდი ღვთისმეტყველის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ სახით გაიხსენა:

„ძვირფასო მამა სერგი, შენ იყავი ბრძენი ქრისტიანი, ეკლესიის მასწავლებელი, ამ სიტყვის წმინდა და მაღალი გაგებით. შენ იყავი განათლებული სული წმინდით, რომელიც არის სული სიბრძნისა, სული გაგებისა, მანუგეშებელი მათი, ვისაც მიუძღვენი შენი შრომები.

<sup>51</sup> Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 178.

<sup>52</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 180; შდრ. მოწმეების მოგონებებთან: Казимирчак-Полонская Е., Профессор Протоиерей Сергей Булгаков (1871-1944), Богословские Труды, N27, 1986, 178-179.



ლეონიდე ბ. ებრალიძე

მან შენში საული პავლედ აქცია და გწინამძღოლობდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ოცდაექვსი წლის წინ მიიღე მისი განსაკუთრებული მადლი, ხელთდასხმის საიდუმლოში და სული წმინდაში ატარე შენი სამღვდლო ჯვარი. ნიშანდობლივია, რომ შენ ეს მადლი მიიღე სულიწმინდის დღეს, როდესაც ის ცეცხლის სახით გადმოვიდა მოციქულებზე. შენც შენი ცხოვრებით იმოციქულე [...] ისიც ნიშანდობლივია, რომ შენი უკანასკნელი ლიტურგია, ამქვეყნად, სწორედ სული წმინდის დღეს აღასრულე შენი სამღვდლო ხელთდასხმის იუბილეზე. [...] როგორ ბრწყინავდა შენი სახე იმ დღეს - შენმა სულმა იცოდა, რომ ამ ქვეყნად ეს მისი ბოლო ტრიუმფი იყო. სწორედ ამ დღეს მოგიხმო ღმერთმა, შეგენწყვიტა შენი მღვდლობა დედამიწაზე და განგეგრძო ზეცაში, წმინდა ანგელოზებისა და მოციქულების ფერხულში<sup>53</sup>.

აქ მოკლედ წარმოდგენილი მოწმობებიც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ სწორედ ექვთარისტიულად აღსრულდა ცხოვრება გენიალური ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველისა, უპირველეს ყოვლისა კი, მღვდლისა და წინასწარმეტყველისა, რომელიც საკუთარი ლიტურგიული და მისტიური გამოცდილებით ამოწმებდა ღვთის სამეფოს, რომელსაც ასე მოელოდა და ღვთისმეტყველებდა.

წმ. მარიამ სკობცოვას უთქვამს: „მამა სერგის ასი წლის შემდეგ ეკლესიის მამასავით მოიხსენიებენ“<sup>54</sup> და როგორც ალექსანდრე მენი შენიშნავს, ეს იქნება ტრიუმფი არა ერთგვარი ინტელექტუალიზმისა, არამედ მისი პიროვნული მოწმობისა:

„ბევრისთვის იგი წმინდანია. მე ზოგიერთ ნივთს, რომელიც მის მაგიდაზე იდო, როგორც რელიკვიას, ისე ვუფრთხილდები და მიმაჩნია, რომ თანამედროვეობის

---

<sup>53</sup> ვიმოწმებთ სტატიიდან: Louth A., *The Eucharist in the Theology of Fr. Sergii Bulgakov*, *Sobornost*, Vol.27, No.2, 2005, 37.

<sup>54</sup> Емельянова Т., *Руководитель, Друг, Отец: Мать Мария (Скобцова) и Прот. Сергий (Булгаков)*, *Вестник РХД*, N182, 2001, 48.

სულიერი აღორძინება მხოლოდ მისი თხზულებების გავლენაზე კი არა, მისი პიროვნების არაპირდაპირ გავლენაზეც არის დამოკიდებული, რამეთუ ასეთი დიადი სულების პრივილეგიაა, ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც გავლენა მოახდინონ და მონაწილეობა მიიღონ ღვთის სასუფევლის დამკვიდრებაში<sup>55</sup>.

2021 წელს მამა სერგი ბულგაკოვის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა.

---

<sup>55</sup> მენი ა., რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), კ. ქეცბაიას თარგმანი, თბილისი, 2015, 182.

## **SERGEJ BULGAKOV – LIFE FROM THE EUCHARIST**

**Fr. Leonide B. Ebralidze \***

One of the greatest writers of Orthodoxy in the 20th century was Sergei Bulgakov, who paradoxically is less appreciated in Orthodox countries than in the rest of the Christian world. The purpose of this article is to present to Georgian readers the figure of Sergei Bulgakov not so much as a philosopher and theologian, but as a priest and mystic who lived his experience from the Eucharist: It is precisely this Eucharistic and priestly experience that transforms Bulgakov from a scholar into a prophet. The article is dedicated to the 150th anniversary of the birth of Fr. Sergej Bulgakov (1871-2021).

Keywords: Sergej Bulgakov, Mystic, Priesthood, Eucharistic Experience, Encounter with God, Mystical Experience.

---

\* Ph.D. Candidate at PIO, Visiting Lecturer at PUL.beqa.ebralidze@gmail.com